მშობელთა ჩართულობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების პროცესში

ნინო დოჯურიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ინკლუზიურ განათლებაში განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სკოლის ფსიქოლოგი, ფსიქოლოგ-კონსულტანტი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანა ცარციძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

რამ გამოიწვია ჩვენი დაინტერესება მშობელთა ჩართულობის საკითხით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების პროცესში, რატომ გადავწყვიტეთ ამ თემის წინ წამოწევა და რა გზებსა და სტრატეგიებს ვხედავთ და ვთვლით ეფექტურად იმ პრობლემების დასაძლევად, რასაც ქმნის მშობელთა ნაკლებად მონაწილეობა სწავლების პროცესში.

კვლევის საკითხი არის ის, თუ რამდენად არიან მშობლები დაინტერესებული ბავშვების განათლებით, რამდენად ღებულობენ მონაწილეობას სწავლების პროცესის განხორციელებაში; თანამშრომლობს თუ არა სკოლასთან და იაზრებს თუ არა საკუთარ პასუხისმგებლობას მშობელი ბავშვის განათლებაში. თბილისის საჯარო სკოლებში, სსსმ მოსწავლეების მშობლებსა და მასწავლებლებს ვთხოვეთ შეევსოთ კითხვარები. კითხვარი მშობლებისათვის (Q-1) შედგება 22 დებულებისაგან მშობლების ქცევისა და სწავლისადმი დამოკიდებულების შესახებ. ცდის პირებმა უნდა მონიშნონ ერთი სასურველი პასუხი 5-ბალიან სკალაზე „სრულებით ვეთანხმები“-დან „სრულებით არ ვეთანხმები“-მდე. კითხვარი მასწავლებლებისათვის (Q-2) მოიცავს 12 დებულებას და აჩვენებს მასწავლებლის მიერ მშობლების ქცევის შეფასებას ბავშვის განათლებასთან დაკავშირებით. თითოეულ დებულებაზე მასწავლებლებმა უნდა შეაფასონ მშობლის ქცევა 5-ბალიან სკალაზე ერთი პასუხის მონიშვნით: „ყოველთვის“, „ხშირად“, „ხანდახან“, „იშვიათად“ ან „არასოდეს“. ამავე სკოლების სპეციალურ პედაგოგებს ვთხოვე ინტერვიუ და მათი პასუხები შევადარე მშობლებისა და მასწავლებლების შედეგებს.

მონაცემები დავამუშავე სტანდარტული პროცედურის მიხედვით და ანალიზისათვის გამოვიყენე Excel ფაილი. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ გამოკითხულ სკოლებში მშობლების ჩართულობა სასწავლო პროცესში საშუალო მაჩვენებელზე მაღალია. თბილისის სკოლებში, სადაც ინკლუზიური განათლება ხორციელდება,

მშობლები თანამშრომლობენ სკოლასთან და მასწავლებელთან და აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას შვილების განათლების პროცესში.